პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით!

# ლელო

საქართველოს სსრ ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО ОРГАН ГОСУДАРСТВЕННОГО КОМИТЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР ПО ФИЗИЧЕСКОЙ КУЛЬТУРЕ И СПОРТУ И РЕСПУБЛИКАНСКОГО СОВЕТА ПРОФСОЮЗОВ

22 ოქტომბერი, კვირა, 1989 წ.
№ 208 (10122) ◉ ფასი 3 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

სეოკ-ის დამფუძნებელ კონფერენციაზე...

## გზა აღიარებისაკენ

**ჯანსუღ ჩარკვიანი: გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ დირექტორი:**

**ძვირფასო მეგობრებო!** ჯერ ერთი მინდა მივმართო ბატონ პაატას. თქვენ გამობრძანდით, აქ და წაიკითხეთ ღრმაშინაარსიანი და ამავე დროს საინტერესო და სერიოზული მოხსენება და ბოლოს იმ დასკვნამდე მიხვედით (როცა საუბარი გქონდათ კოლონიურ სახელმწიფოებზე, რომლებიც მონაწილეობდნენ ოლიმპიადებზე), რომ საქართველო უფრო ცუდ მდგომარეობაშია ვიდრე ის კოლონიური სახელმწიფოები. მე რომ ჩემი გამოსვლით უხერხულ მდგომარეობაში არ ჩაგაყენოთ, მოგახსენებთ, რომ მეც თქვენსავით ვფიქრობ და ამ დარბაზში მყოფთა უმრავლესობაც. მე გეთანხმებით, რომ ჩვენ უარეს მდგომარეობაში ვართ, ვიდრე როდისმე ყოფილა კოლონიური სახელმწიფო. უჭირს საქართველოს, ყოველი მხრიდან უჭირს, ვინც დახმარებას გვპირდება, იმისგან უფრო გვიჭირს.

ყველა რაღაცის წართმევას ლამობს, ყველა ჩვენ გვებრძვის, თუ არ ჩავთვლით იმასაც, რომ ერთმანეთსაც ჩვენ ვებრძვით, ჩვენ ვკლავთ, ჩვენ ვჭამთ. ხომ ხედავთ დამოუკიდებლობის გზაზე, ათი ლიტრა ბენზინისთვის კაცს ბენზინი გადავასხით და ცეცხლი წავუკიდეთ. დიახ, ძალიან უჭირს საქართველოს, რომ არ უჭირდეს სახალხო ფრონტი რად შეიქმნებოდა, რად გვინდოდა დღევანდელი ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი? მაგრამ მადლობა ღმერთს, რომ ამ დიად გზაზე ჭკვიანებიც აღმოჩნდნენ, შორსმჭვრეტი მამულიშვილები.

მე ასე მჯერა, არამც თუ მხოლოდ სპორტში, დღევანდელი დღე საერთოდ ერთი პირველი ნაბიჯია გადადგმული დიდად ეროვნული, დიდად მნიშვნელოვანი საქართველოს დამოუკიდებლობის გზაზე. ამ დღეს მოვლა სჭირდება, სულის ჩაბერვა და უფრო აღორძინება.

მივესალმები დღევანდელ დღეს და, რადგან მონები არა ვართ, დავანთოთ ოლიმპიური ჩირაღდანი საქართველოს დამოუკიდებლობისა.

**ძლივს, ძლივს ამოდის მთვარე სამოთხის**
**ტყვია მიზანში მოსახვედრია,**
**თავისუფლება ისე არ მოდის,**
**თავისუფლება ლომთა ხვედრია...**

თქვენ გაგიმარჯოთ ლომთა ხვედრებო!

## ეროვნული განვითარების კონცეფციაში გავითვალისწინოთ

**ძვირფასო რედაქცია!** ახლა, როცა შეიქმნა საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, როცა პრაქტიკული ნაბიჯი გადაიდგა საქართველოს სრული სპორტული სუვერენიტეტის გზაზე, აუცილებელია ამ ფაქტმა მომავლის ამოცანების გათვალისწინებით ასახვა ჰპოვოს საქართველოს ეროვნული განვითარების კონცეფციის საბოლოო ვარიანტის დადგენის დროს. ქართული სპორტი ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და დამოუკიდებლად მისი საერთაშორისო აღიარებისათვის ყველაფერი უნდა ვიღონოთ. საჭიროა და იგი დიალაც უნდა აისახოს ოფიციალურ დოკუმენტებში.

**ა. გველესიანი,**
**ინჟინერი.**

რუსთავი.

საქართველოს გუნდური ჩემპიონატი ქართულ ჭიდაობაში

## ზედიზედ მეორედ

**მსაჯებმა** ზემძიმე წონის მოჭიდავეებს — ქარელელ ანდრია სანდოძესა და საგარეჯოელ კობა კუპატაძეს სარბიელზე უხმეს. ქარელელთათვის ამ შეხვედრის შედეგს არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა, ისინი გუნდურ პირველ ადგილს დამაჯერებლად იგებდნენ, მაგრამ მიუხედავად ამისა, ასეთ პრესტიჟულ წონაში გამარჯვება მათ პატივმოყვარეობას ერთგვარ სალბუნად ედებოდა, ეს კი ცოტას როდის ნიშნავდა...

კასპის რაიონის საჭიდაო დარბაზს ხანგრძლივი კაპიტალური რემონტის შემდეგ „პრემიერა“ ჰქონდა. უნდა ითქვას, რომ იგი ობლის კვერივით გვიან, მაგრამ კარგად კი „გამოცხვა“. დღეს ამ საჭიდაო არენას საქართველოში ალბათ ბადალი არა აქვს.

ჩემპიონატს, ცხადია, წინ უძღოდა ზონალური შეჯიბრებები. აღმოსავლეთისა სექტემბრის პირველ ნახევარში გაიმართა ხაშურში, ხოლო დასავლეთ ზონის შეხვედრებს ონმა უმასპინძლა.

ფინალი მცხეთაში უნდა ჩატარებულიყო, მაგრამ იქაური ბაზის მოუმზადებლობის გამო გადაწყდა, კასპელებისთვის დაეთმოთ ეს უფლება.

და აი, შაბათ-კვირას კასპს 15 გუნდი ეწვია: გორი, გორის რაიონი, კასპი, ყვარელი, აჭარა, ქარელი, რუსთავი, თბილისი, ამბროლაური, გურჯაანი, ხაშური, მარტვილი, ქუთაისი, ჩოხატაური, საგარეჯო.

სამწუხაროდ, გაურკვეველი მიზეზებით, ჩემპიონატში მონაწილეობას თავი აარიდეს ქართული ჭიდაობის ისეთმა აღიარებულმა რაიონებმა, როგორიც არის ახმეტა და თელავი, აგრეთვე ლაგოდეხმა, თიანეთმა, დუშეთმა, მცხეთამ, მესტიამ, ლენტეხმა, თერჯოლამ და სენაკმა. მათი მონაწილეობა, გარდა იმისა, რომ აამაღლებდა ჩემპიონატის ავტორიტეტს, ჩვენი ეროვნული სპორტის სახეობის შემდგომ განვითარებასაც შეუწყობდა ხელს. ეს მით უფრო გულსატკენია, რომ 25-26 ნოემბერს თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართება I საერთაშორისო ტურნირი ქართულ ჭიდაობაში. ამ სახეობის წარმომადგენლებისთვის რესპუბლიკური ჩემპიონატი, სხვა თუ არაფერი, ძალთა შემოწმება, დათვალიერება მაინც იქნებოდა.

ახლა კი, მოკლედ, იმის შესახებ თუ როგორ წარიმართა შეხვედრები. თავიდანვე ცნობილი იყო რომ ქარელელები, რომლებმაც [illegible] ნდელ ანა[illegible] იმარჯვეს, [illegible] შეეცდებოდნენ. თავის მხრივ, მასპინძლებსაც სურდათ საკუთარი კედლების უპირატესობის გამოყენება. მაგრამ ამისათვის საჭირო იყო, არც მეტი, არც ნაკლები, ფავორიტების დამარცხება, რაც მათ ვერ შეძლეს. ქარელის გუნდმა ხუთი შეხვედრა ჩაატარა და ხუთივეში გაიმარჯვა. მან ერთნაირი ანგარიშით 6:3 დაამარცხა გორის, გორის რაიონისა და კასპის ნაკრები გუნდები. უფრო დამაჯერებლად (7:2) აჯობა თბილისელებს. რაც შეეხება საგარეჯოელებთან შერკინებას, აქ მან, მინიმალური სხვაობით (5:4) გაიმარჯვა. ისე რომ, მასპინძელთა ამაგდარი მწვრთნელის ლავრენტი კაციაშვილის გუნდმა ამჯერადაც ქარელელების ახალბედა მწვრთნელის ემზარ მსხალაძის შეგირდებს დაუთმო უძლიერესის სახელი.

მესამე ადგილი გორელებმა მოიპოვეს (მწვრთნელი ქართლოს პავლიაშვილი).

...სანდოძესა და კუპატაძის ორთაბრძოლა გარდამავალი უპირატესობით წარიმართა. ორქულიან უპირატესობას ვერც ერთმა მოჭიდავემ ვერ მიაღწია. შეხვედრის დამთავრებამდე რამდენიმე წამით ადრე ქარელელთა ფალავანმა შეძლო მეტოქის ილეთზე „გამოჭერა“ და კასპის განახლებული საჭიდაო დარბაზი ბეჭდაუღებელმა დატოვა.

**ჯემალ კასრაძე,**
**„ლელოს“ სპეც. კორ.**



**სურათზე:** საქართველოს ჩემპიონი ქარელელთა გუნდი. პირველ რიგში მარცხნიდან: გოგიტა მიდელაშვილი, გელა ბესტაევი, ზაზა გულიაშვილი, ზაზა იმერლიშვილი. მეორე რიგში: მწვრთნელი ემზარ მსხალაძე, ანდრია სანდოძე, ბესიკ ზაკოტაშვილი, ბესიკ ქოქოევი, დათო ბესტაევი, მამუკა მარლიშვილი.

## მეორე ეშელონის სტარტზე

**ამ** დღეებში პირველი ლიგის 16 ვაჟთა გუნდი ჩაება ხელბურთელთა საკავშირო გათამაშების მარათონულ ორთაბრძოლებში, რომლის მონაწილენი დაყოფილნი არიან 4 ჯგუფად. ერთ-ერთი ამ კვარტეტთაგანი, კერძოდ, ოდესის ასკ, დონეცკის „შახტიორი“, აგრეთვე, ფრუნზესა და თბილისის ბურევესტნიკელები თბილისის სპორტკომპლექს „ბურევესტნიკის“ სარბიელზე ასპარეზობდნენ.

ტურნირი წარმატებით განვლეს მასპინძელმა ხელბურთელებმა, რომლებმაც 12 შესაძლებლიდან 11 ქულა დააგროვეს და ჯგუფში პირველ ადგილზე დამკვიდრდნენ.

### ჯანმრთელობის ფონდიდან

**საქართველოს** პროფკავშირთა სპორტსაზოგადოების საბჭომ, რომელმაც თავის ამასწინანდელ პლენუმზე იმსჯელა რესპუბლიკაში ფიზკულტურულ-მასობრივი და გამაჯანსაღებელი მუშაობის გარდაქმნის თაობაზე, 1990 წელი გამოაცხადა „ფიზკულტურის კოლექტივის წლად“. ეს აქცია ფინანსურ მხარდაჭერას მიიღებს რესპუბლიკის ჯანმრთელობის ფონდიდან, რომლის ანგარიშზე უკვე 200 ათას მანეთზე მეტია.

## შეკრებაზეც დატოვეს

**რამდენიმე** ქართველი ჭაბუკი მოხვდა პრიზიორთა შორის „შრომითი რეზერვების“ ცენტრალური საბჭოს პირველობაზე კლასიკურ ჭიდაობაში, რომელსაც ნოვოროსიისკმა უმასპინძლა.

ჩვენს გუნდს, მართალია, ჩემპიონი არ ჰყოლია, მაგრამ მედლები მისმა წევრებმა მოიპოვეს. პირველობაში მეორე ადგილები დაიკავეს ოზურგეთელმა თენგიზ მელივამ (68 კგ) და თბილისელებმა — ზაზა სილაკაძემ (88) და ფირან კაპანაძემ (97). კიდევ ოთხმა მოჭიდავემ ბრინჯაოს მედლები დაისაკუთრა. ესენი არიან მარტყოფელი გიორგი ფრეწუაშვილი (43), თბილისელი შალვა იშხანიშვილი (63), ოზურგეთელი არსენ ლომიძე (74) და ჭიათურელი გიორგი ხომასურიძე (115 კგ).

აშკარად არ გაუმართლა თბილისელ გიორგი მახარობლიძეს, რომელმაც ფინალში გასასვლელ შერკინებაში ხელი იტკინა და ჭიდაობა ველარ გააგრძელა.

ჩვენი გუნდის 15 წევრი, რომლის მწვრთნელები არიან თემურ ყაზარაშვილი და ვლადიმერ ადეიშვილი, დატოვეს „შრომითი რეზერვების“ ჭაბუკთა ნაკრების საწვრთნელ შეკრებაზე.

## ყოველგვარ ამინდში

**ჩვენში არაოფიციალურ შეჯიბრებებს სულ სხვა თვალით უყურებენ და რამდენადმე სერიოზულ**



**ღონისძიებებად მათ არავინ თვლის. მართლაც, ხშირად მწირი მატერიალური ბაზა და შესაძლებლობები ცარიელ ენთუზიაზმს არად აქცევს.**

მაგრამ ახლა ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისზე უნდა მოგითხროთ, თუმცა „ლელოს“ მკითხველებისთვის ეს ახალი ამბავი არ იქნება. ლაპარაკია ტრადიციულ საშემოდგომო კროსზე („მგლის მუხლი“), რომელსაც ატარებენ გამაჯანსაღებელი რბენის მოყვარულები, კონკრეტულად კი — სპორტული კოოპერატივი „ლელო“.

შეჯიბრება საგულდაგულოდ მზადდება, იგი არც ისე იაფი ჯდება, მაგრამ ენთუზიასტები, პირველ ყოვლისა კი კროსის მოთავე და ორგანიზატორი თენგიზ გელდიაშვილი, ადრიდანვე იჭერენ თადარიგს, აგროვებენ სახსრებს, და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ასპარეზობას უხალისოდ და უინტერესოდ ჩაევლოს. როგორც ხშირად ემართება ბევრ სხვა ოფიციალურ ტურნირს. მას შეიძლება ჩვენში ერთ-ერთი პირველი „კომერციული ტურნირიც“ ვუწოდოთ — რაც უნდა იყოს, გამარჯვებულისთვის პრიზად 300 მანეთი იყო დაწესებული, მეორე და მესამე ადგილებზე გასული მორბენლებისთვის — შესაბამისად 200 და 100 მანეთი. მონაწილეებს ელოდათ კიდევ ბევრი პრიზი და საჩუქარი.

„მგლის მუხლის“ წლევანდელი გარბენი გასულ კვირას ტრადიციულად კუს ტბის ირგვლივ მოეწყო. ტბის ფიზკულტურულ-გამაჯანსაღებელი კომპლექსის თანამშრომლებმა და დირექტორმა რევაზ ზანდუკელმა სიამოვნებით დაუთმეს თავიანთი ბაზა (გასახდელები, საშხაპე და ა. შ.) გარბენის მონაწილეებს. კომპლექსიც ხომ იმავე საქმეს ემსახურება, რასაც ეს კროსი ისახავს მიზნად. ამიტომ, ცხადია, „სტუმარ-მასპინძლებმა“ კარგად გაუგეს ერთმანეთს.

კვირას ამინდი არ იყო მაინცდამაინც ხელსაყრელი, მაგრამ ორგანიზატორთა შეუპოვრობა, როგორც იტყვიან, უფრო შორს მიდიოდა — ქალაქში გაკრულ აფიშებზე გარკვევით ეწერა: „კროსი ჩატარდება ყოველგვარ ამინდში!“. უფრო საწყენია ქალაქის სპორტული ორგანიზაციების „სიცივე“ (თუნდაც სპორტკომიტეტისა) შეჯიბრების მიმართ. ცხადია, მძლეოსნობის სპეციალისტთა გულგრილობაც არ უნდა იყოს გამართლებული...

მთავარი პრიზი დაძაბულ ბრძოლაში მოიპოვა სერგეი არტამონოვმა. მას მიჰყვნენ ოლეგ ხარაზიშვილი და შალვა ნადირაძე. 5725-მეტრიანი ტრასა გამარჯვებულმა 18 წუთსა და 9 წამში დაფარა. ხარაზიშვილი მას სულ სამი წამით ჩამორჩა, ნადირაძე — შვიდით.

გოგონათა შორის გაიმარჯვა სურაია მირზოევამ, რომელმაც უკან ჩამოიტოვა მდევრები ლ. ბურნაძე და ლ. ნანიშვილი, ვეტერანთა შორის გაიმარჯვა ნიკოლაი დუდნიკმა, ჭაბუკებში — ანდრეი ნაუმოვმა, უმცროსი ასაკის გოგოებში პირველი იყო მარგალიტა მესხი. დაჯილდოვდნენ აგრეთვე ასპარეზობის ყველაზე უფროსი და უმცროსი მონაწილე, ყველაზე სპორტული ოჯახი და სხვა. კროსმა მართლაც საინტერესოდ ჩაიარა.



**სურათებზე:** ასპარეზობის მომენტები.

**ვიქტორ ბუკიას ფოტოები.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

შამი ფიქრისა, შამი განსჯისა

# მწარე გაკვეთილმა უქმად არ უნდა ჩაიაროს

**იყო** დრო, როდესაც საქართველოს ფრენბურთელები ანგარიშგასაწევ ძალას წარმოადგენდნენ საბჭოთა კავშირში, მაგრამ ძველი წარმატებები წარსულს ჩაბარდა. წარუმატებლობას ხან რას ვაბრალებდით და ხან რას, იხარჯებოდა უამრავი თანხა. შედეგი კი მაინც სავალალო გვქონდა. ამ ბოლო დროს ფრენბურთში ცოტა გამოცოცხლება იგრძნობა, საქართველოს ქალთა და ვაჟთა გუნდები კვლავ დაუბრუნდნენ პირველ ლიგას. ეს უდავოდ, წინა წლებთან შედარებით, წინგადადგმული ნაბიჯია, მაგრამ ჩვენს საფრენბურთო „მეურნეობაში" ღრმად.თუ ჩავიხედავთ, დავინახავთ, რომ ჯერ კიდევ ყველაფერი როდი გვაქვს რიგზე, უამრავი პრობლემა ამუხრუჭებს ქართული ფრენბურთის წინსვლას. ამაში საკავშირო IV ახალგაზრდულმა თამაშებმაც დაგვარწმუნა, დონეცკსა და კრამატორსკში გამგზავრებამდე ჩვენი გუნდების უფროსი მწვრთნელები — ცისანა აბუაშვილი და ალექსანდრ იგნატიევი სინანულს გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ საქართველოს ახალგაზრდული ნაკრებები თავიანთი პოტენციური შესაძლებლობებით XII ადგილს ვერ ასცილდებოდნენ. ასეც მოხდა. გოგონებმა მხოლოდ თურქმენეთის გუნდი დაამარცხეს 3:0, დანარჩენი შეხვედრები წააგეს და საბოლოოდ XII ადგილით დაკმაყოფილდნენ. ვერც ჭაბუკებმა ისახელეს თავი. მათაც მარტო ერთი თამაში მოიგეს თურქმენ ფრენბურთელებთან და XIV ადგილზე გავიდნენ.

როგორც აღვნიშნეთ, უკეთეს შედეგებს არც ველოდით და ყოველივე ეს სუბიექტურ და ობიექტურ მიზეზთა ერთობლიობით იყო განპირობებული. გულშემატკივრებმა იციან, რომ ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ხელმძღვანელობამ არ გაითვალისწინა რესპუბლიკის ფრენბურთის მესვეურთა ხვეწნა-მუდარა და ახალგაზრდული ნაკრების ძირითადი მოთამაშეები „დაფანტა". ევროპის ჩემპიონი ალექსანდრ პროხოროვი საბჭოთა არმიის რიგებში მოსკოვს გაიწვიეს, ირაკლი ჩაჩუა, ანდრეი მალახოვი, გენადი გორდაძე და გიორგი ცერცვაძე აზერბაიჯანში „გაამწესეს". საკავშირო IV ახალგაზრდულ თამაშებზე ისინი ჩვენი მეტოქე გუნდების შემადგენლობაში ასპარეზობდნენ. ამასთან საქართველოს ჭაბუკთა ნაკრები (გოგოებისაც) უმთავრესად 1970-1971 წლებში დაბადებული სპორტსმენებით იყო დაკომპლექტებული, თამაშებზე კი მათზე ორი წლით უფროსი ფრენბურთელები გამოდიოდნენ. სპეციალისტებმა და გულშემატკივრებმა იციან, ასეთ ასაკში რას ნიშნავს ორწლიანი სხვაობა. ისიც გასათვალისწინებელია, რომ ჩვენი გოგონებისა და ჭაბუკების საშუალო სიმაღლე მეტოქეებისაზე 5-7 სანტიმეტრით დაბალი იყო.

— 1968-1969 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის სასკოლო სპარტაკიადა არ ჩატარებულა, ამიტომ ამ ასაკის ფრენბურთელთა მომზადებაზეც თავი არავის შეუწუხებია, — გვეუბნება საქართველოს სპორტსახკომის მთავარი მწვრთნელი ფრენბურთში, საერთაშორისო კატეგორიის მსაჯი **ედუარდ ხანთელაძე**, — სამწუხაროდ, დღემდე თავი ვერ დავაღწიეთ არასტაბილურობას, ამა თუ იმ შეჯიბრებისთვის ბავშვთა ფორსირებულ მომზადებას. გაისად მოსწავლეთა საკავშირო სპარტაკიადა ჩატარდება 1974-1975 წლებში დაბადებულთა შორის, ახლა მთელი ყურადღება ამ ასაკზეა გადატანილი და მათზე 1-2 წლით უფროსები არავის ახსოვს — ქართულ ფრენბურთში კიდევ ერთი ნაპრალი ჩნდება.

კრამატორსკში გოგონათა სუსტ გამოსვლაზე ერთმა გარემოებამაც იმოქმედა. წლეულს, გაზაფხულზე, საქართველოს ფრენბურთელებმა I ლიგაში დაბრუნება დაისახეს მიზნად და სურვილი რეალობად აქციეს. ლიგაში გადასასვლელი თამაშები მაისში დამთავრდა, უკვე ივნისის პირველ რიცხვებში კი ჩვენი გოგონები საკავშირო თამაშებში ჩაებნენ. გარდა ამისა, ასაკის გამო გუნდს ძირითადი ექვსეულის რამდენიმე მოთამაშე გამოაკლდა, ახალგაზრდული გუნდისათვის კი ღირსეული ცვლა ვერ მოიძებნა. როგორც აბუაშვილმა გვითხრა, ჩვენმა ფრენბურთელებმა უფერულად ითამაშეს და შედეგიც არასახარბიელო მივიღეთ...

ახალგაზრდულ თამაშებზე მიღებულმა მწარე გაკვეთილებმა უქმად არ უნდა ჩაიაროს, მით უმეტეს ახლა, როცა ჩვენი მთავარი გუნდები ავტორიტეტის ამაღლებაზე ფიქრობენ. ამასთან დაკავშირებით ერთ მტკივნეულ ფაქტზე გვინდა ყურადღება გავამახვილოთ: ამას წინათ საქართველოში სტუმრად იმყოფებოდა არაბთა გაერთიანებული ემირატების ფრენბურთელ ვაჟთა გუნდი, რომლის წევრთა ოსტატობა პირველთანრიგოსანთა დონეს არ აღემატებოდა. საქართველოს ფრენბურთელებთან ერთობლივი ვარჯიშისა და ამხანაგური შეხვედრების მომენტებს სტუმართა მწვრთნელები ვიდეოფირზე აღბეჭდავდნენ, გზადაგზა დიქტოფონზე იწერდნენ შენიშვნებს, თამაშების გარჩევისას იყენებდნენ კომპიუტერსაც, ჩვენი მწვრთნელები კი მამაპაპურად — ავტოკალმებითა და ბლოკნოტებით იყვნენ შეიარაღებულნი. პარადოქსია არა? მეტსაც გეტყვით — საკავშირო სპორტსახკომიდან მიღებული რეკომენდაციისა და დებულების თანახმად ქვეყნის ჩემპიონატში მონაწილე უმაღლესი და I ლიგის გუნდებს უნდა ჰქონდეთ: მთავარი სათამაშო მოედანი ტრიბუნებით, არანაკლებ 1000 მაყურებელზე გათვალისწინებით, საერთო-ფიზიკური მომზადების დარბაზი 150 კვ. მეტრი ფართობით, სპეციალიზირებული ფიზიკური მომზადების დარბაზი (80 კვ. მ.). აგრეთვე ოთახები: ფსიქო-ფიზიოლოგიური ტრენაჟორებისა და ტესტირებისთვის, ფსიქორეგულაციისა და აღდგენარეაბილიტაციისთვის, ფუნქციონალური დიაგნოსტიკის განსახორციელებლად, ფიზიოთერაპიისა და მასაჟისათვის, აგრეთვე, სპეციალური ტრენაჟორები და კომპლექტი ათლეტური მომზადებისთვის. მწვრთნელების განკარგულებაში უნდა იყოს ვიდეოკამერა, ვიდეომაგნიტოფონი, მონიტორი, დიქტოფონი, კომპიუტერი... ჩვენ კი რისი პატრონები ვართ? რესპუბლიკის მთავარ გუნდებს, რომ არაფერი ვთქვათ სხვა სიკეთეზე, ერთი ხეირიანი მუდმივი საწვრთნელი დარბაზიც არ გააჩნიათ. თუმცა ყველაფერი ეს ჩვენში არც მხოლოდ ფრენბურთელთა და არც მხოლოდ საერთოდ სპორტის პრობლემაა.

საქართველოს სპორტსახკომის 1987 წლის 21 მაისის დადგენილებით 1987-1988 წლებში ღია ფრენბურთის მოედნები 200-300 ადგილიანი ტრიბუნებით, გასახდელებითა და საშხაპეებით უნდა აშენებულიყო ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ცხინვალში, რუსთავში, გორში, წყალტუბოში, გუდაუთაში, სამტრედიაში, თელავში, ლაგოდეხში. სამწუხაროდ, ზოგან სამუშაოები დაუმთავრებელია, ზოგან კი ჯერაც არ დაწყებულა. თბილისის განათლების სამმართველოს ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლას ექვსი წელია საკუთარი ბაზა არა აქვს, მომთაბარე ცხოვრებას ეწევა. ასეთ დღეშია, ფაქტობრივად, მთელი ქართული ფრენბურთი, რადგან ადგილებზე არავინ ზრუნავს პირობების გასაუმჯობესებლად, კვალიფიციური კადრების მომზადებაზე და კიდევ...

**ე. ხანთელაძე:** გარდაქმნას ჩვენს ფრენბურთში ჯერ არ შემოუღწევია. საუბედუროდ, ჯერ კიდევ ძველებურად ნაცარს ვაყრით ერთმანეთს თვალებში, ლამაზი ანგარიშებით და ციფრებით ვიწონებთ თავს. თავად განსაჯეთ, რესპუბლიკაში ფრენბურთის 300-მდე ჯგუფი და 130 ათასამდე ფრენბურთელია, ნამდვილი მოთამაშე კი თითებზე ჩამოსათვლელი გვყავს... ძალიან ბევრი პრობლემა კომპლექსურად გვაქვს გადასაწყვეტი, თუ გვინდა ქართულ ფრენბურთს აღვუდგინოთ ძველი დიდება. კერძოდ, „სპორტული" ფრენბურთი უნდა გამოეყოს მასობრივს, რადგან ლოზუნგი — „მასობრიობა ოსტატობის საწინდარია" — დიდი ხანია აღარ ამართლებს, უნდა ვიზრუნოთ კვალიფიციური მწვრთნელების მომზადებაზე, კეთილმოწყობილი ბაზების ქსელის გაფართოებაზე, დამწყები მწვრთნელებისთვის ხელფასის მომატებაზე. უარი უნდა ვთქვათ წმინდა უწყებრივ დაინტერესებაზე და სასწავლო ჯგუფების მხოლოდ საკავშირო შეჯიბრებებისთვის გამიზნული ასაკის ფრენბურთელებით დაკომპლექტების მანკიერ პრაქტიკაზე, ამ ასპარეზობებისთვის ნორჩ სპორტსმენთა ფორსირებულ მომზადებაზე. გარდა ამისა, უნდა გაძლიერდეს კონტროლი მრავალრიცხოვან ჯგუფებში მწვრთნელთა საქმიანობაზე, გაუმართლებელ შეთავსებებზე. ყოველივე ზემოაღნიშნულის განხორციელება მაშინ იქნება შესაძლებელი, თუ ფრენბურთის ორი რესპუბლიკური სკოლისა და რაიონების ბავშვთა სპორტული სკოლების ფრენბურთის განყოფილებების ნაცვლად შეიქმნება ერთი თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე აღჭურვილი ოლიმპიური რეზერვის ბავშვთა და მოზარდთა რესპუბლიკური სპორტული სკოლა. მართალია, მისი გახსნა ყველა პრობლემას ვერ მოხსნის, მაგრამ ხელს შეგვიწყობს რესპუბლიკაში შევქმნათ მაღალი კლასის ფრენბურთელთა მომზადების მწყობრი სისტემა.

როგორც ზემოთ ვთქვით, ქართულ ფრენბურთში ერთგვარი ძვრები შეიმჩნევა. ახლა მთავარია მეტი მონდომება, პასუხისმგებლობა და პროფესიონალიზმი გამოვიჩინოთ, ერთიანი ძალით აღმოვფხვრათ ნაკლოვანებები. ყოველივე ამის გაკეთება აუცილებელია არა მარტო თბილისში, არამედ პერიფერიებშიც, სადაც საფრენბურთო ცხოვრება თითქმის ჩამკვდარია. სხვაგვარად ალბათ არც შეფასდება იმათი მუშაობა, ვისაც წლების მანძილზე რესპუბლიკის ნაკრები გუნდებისთვის ერთი ფრენბურთელიც არ მიუცია. ახლა დადგა დრო, როგორც იტყვიან: საქმემან ჩვენმან გამოგვაჩინოს.

ვაჟა დანელია.



# მოედანი ბიჭების მოთხოვნით

**თბილისის** ლენინის რაიონის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომში ბიჭები მივიდნენ — ახლომახლო სათამაშო მოედანი არა გვაქვს და იქნებ რამე გვიშველოთო. საქმეში ჩახედულმა ადამიანებმა გაიოცეს — აქ ისეთი ადგილის პოვნა გაჭირდება, მოედანი რომ მოეწყოსო, მაგრამ მაინც დაპირდნენ. სულ ერთ თვეში ავიაქიმიის ქუჩის მოსახვევში საკმაოდ დახრილ ადგილზე გაჩნდა პატარა შემოღობილი მოედანი, რომელსაც ბიჭებმა თავიდანვე შეგულებული სახელი „მარაკანა" უწოდეს. იმ დღეს „მარაკანაზე" იმ დროს მივედით, როცა ვლადიმერ გუცაევისა და თეიმურაზ ლაკიას სახელობის კლუბების ნორჩი ფეხბურთელები ერკინებოდნენ ერთმანეთს.

ამ მოედნის ხილვამ დაგვარწმუნა, რომ თუ გული გულობს, ყველგან შეიძლება სპორტული სარბიელის მოწყობა.

ამავე უბანში, ნაქალაქევის ქუჩაზე, კალათბურთის ახალი მოედანი ვნახეთ, რომელიც სულ მალე დაიხაზება და უბნის ახალგაზრდების სამსახურში ჩადგება.

ჯემალ კასრაძე,

ავტორის ფოტოები.



პასუხი „ლელოს" — ქმედითობა

# „სიმდიდრე გქონდეს და ვერ იყენებდე?"

ამ სათაურით „ლელოს" 5 აპრილის ნომერში გამოქვეყნებულ კრიტიკულ სტატიაში აღნიშნულ ფაქტებთან დაკავშირებით გვატყობინებთ, რომ გუდაურის სკოლა-ინტერნატის შენობა მიმდინარე წლის მეორე კვარტალში ჩაბარდა საექსპლუატაციოდ.

საქართველოს სპორტსახკომის თხოვნით ეს შენობა ჯერ კიდევ მისი ექსპლუატაციაში შესვლამდე, წლის დასაწყისში, გუდაურში ჩატარებულ მოთხილამურეთა შეჯიბრების მონაწილე სპორტსმენებს დაეთმოთ. მათთვის შექმნილ ნორმალურ პირობებზე მეტყველებს სპორტსახკომიდან მიღებული მადლობის წერილი.

ამიერკავკასიის რკინიგზის ხელმძღვანელობის და პროფკავშირთა საგზაო კომიტეტის ერთობლივი გადაწყვეტილებით ეს ნაგებობა მუდმივ სარგებლობაში საგზაო მშენებლობის ტრესტის მუშა-მოსამსახურეებს და მათი ოჯახის წევრებს დასასვენებელ ბაზად გადაეცა, რამაც გამოიწვია დამატებითი სამშენებლო სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. ამჟამად მიმდინარეობს ამ სამუშაოების შესრულება.

გუდაურის დასასვენებელი ბაზის ექსპლუატაციაში გაშვება გათვალისწინებულია მომავალი წლის პირველ კვარტალში.

ზ. ხაზარაძე,
ამიერკავკასიის რკინიგზის სამმართველოს საგზაო სამშენებლო-სამონტაჟო ტრესტის მმართველი.

# მოტომრავალჭიდელთა წარმატება

**ბოლო წლებში,** საქართველოში, ძალზე განვითარდა ტექნიკური სპორტის ერთ-ერთი ურთულესი სახეობა — მოტომრავალჭიდი. ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენლები წარმატებით ასპარეზობენ ყველა რანგის საკავშირო შეჯიბრებებში. ტრადიციისთვის მათ არც ამჯერად უღალატიათ და ბრიანსკში გამართულ სსრ კავშირის პირველ ჩემპიონატში ჩვენმა ნაკრებმა 14585 ქულით მეორე საპრიზო ადგილი დაიკავა ლიტვის გუნდის შემდეგ, რომელმაც 14720 ქულა მოიპოვა. როგორც ხედავთ, სხვაობა ქულათა შორის არცთუ დიდია და ალექსანდრე ზურგაშვილის უიღბლობა რომ არა (ასპარეზობის ბოლო სახეობის, კროსის დროს გაუფუჭდა მოტოციკლი), გუნდი პირველ ადგილს დაიკავებდა. თუმცა, საბჭოთა კავშირის ჩემპიონატში, სადაც ცხრა გუნდი მონაწილეობდა, მეორე ადგილიც საკმაო წარმატებად შეიძლება ჩაითვალოს. გუნდური მესამე ადგილი კი რუსეთის ფედერაციის ნაკრებმა მოიპოვა.

პირად ასპარეზობაში მეორე ადგილი დაიკავა ჩვენი რესპუბლიკის ნაკრების წევრმა სერგეი გორინმა.

ამას გარდა, ჩემპიონატის პარალელურად, ტარდებოდა პირველობა კლუბებს შორისაც. აქ კი გამარჯვება არავის დაუთმო თბილისის ასკ-მ.

წარმატება მივულოცოთ საქართველოს ნაკრებს, რომლის შემადგენლობაში იყვნენ ალექსანდრე ზურგაშვილი, ლევან შალიბაშვილი, ადამ ლეფსოტა და სერგეი გორინი (მწვრთნელი თ. შალიბაშვილი).



დიდი რაგბი — მაიაკოვსკში

**იმერეთის** ამ ლამაზ რაიონულ ცენტრს დიდი რაგბი ეწვია. აქ ქვეყნის სამგზის ჩემპიონმა „აიამ" ამხანაგურ საერთაშორისო მატჩში მიიღო რუმინეთის ერთ-ერთი უძლიერესი გუნდი ბუქარესტის „გრივიცა როშე" და გაიმარჯვა დიძაბულ ბრძოლაში — 18:12. შეხვედრა, რომელმაც დიდძალი მაყურებელი მიიზიდა, რაგბის პროპაგანდის შესანიშნავი თვალსაჩინოება იყო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონატის ფინიშზე

## უმაღლესი ლიგის ლიდერთა და აუტსაიდერთა პერსპექტივები ბოლო ორი ტურის წინ

**სსრ კავშირის** 1989 წლის საფეხბურთო ჩემპიონატის ფინიშზე უკიდურესად დაძაბული ვითარება შეიქმნა და ახლა ფინიშამდე სულ ორი ტურით ადრე, ძალზე ძნელია როგორც გამარჯვებულთა, ისე პირველ ლიგაში გადამსვლელთა ვინაობის დადგენა. ინტრიგა მეტად საინტერესოა, გუნდების ხელმძღვანელები ბლოკნოტებით ხელში არკვევენ დარჩენილი თამაშების სავარაუდო ვარიანტებს, ჩვენ კი, გულშემატკივრებს, ისღა დაგვრჩენია გაათკეცებული ინტერესით ვადევნოთ თვალი ფინიშის გადამწყვეტ მატჩებს.

მიმდინარე ჩემპიონატის მსვლელობისას, ზაფხულის თვეებში საქმეები ისე მიმდინარეობდა, რომ მოსკოვის სპარტაკელთა ოქროს მედლებს წინ, თითქოს, არაფერი ელობებოდა, გუნდი მეტოქეებს ერთი თავით სჯობდა და ნათელი პერსპექტივებიც გაჩნდა. იყო პერიოდები, როცა „სპარტაკი" დანარჩენებს 6-7 ქულით უსწრებდა, მაგრამ მარტო ეს ქულობრივი უპირატესობა არ იყო მთავარი, თვით გუნდი ისეთი დაჯერებით, ისეთი ტაქტიკურ-ტექნიკური უპირატესობით თამაშობდა, რომ ჩემპიონობის საკითხი სათუოდ არავის ეჩვენებოდა, მითუმეტეს, რომ სეზონის დასაწყისში ძალზე დათმო კიევის „დინამომ", ამ კლუბის ხელმძღვანელობამ მიყიდ-მოყიდა საუკეთესო ფეხბურთელები. გუნდს დიდი დანაკლისი დაერთო მოთამაშეთა ავადმყოფობისა და ტრავმირებულთა თვალსაზრისით, ამიტომაც კიეველები თავიანთ პოტენციურ შესაძლებლობათა მხოლოდ მცირე ნაწილს თუ ავლენდნენ. გარდა ამისა, ჩემპიონატის მეორე ნახევარში მნიშვნელოვნად გააძლიერა თამაში დნეპროპეტროვსკის „დნეპრმაც" და „სპარტაკის" ჩემპიონობა საეჭვოდ შეიქმნა.

ახლა ფინიშამდე სულ ორი ტური დარჩა, უმაღლეს ლიგაში უკლებლივ ყველა გუნდს თამაშების თანაბარი რაოდენობა აქვს ჩატარებული და ფეხბურთის მოყვარულთაც შესაძლებლობა მიეცათ ანალიზი გაუკეთონ ლიდერთა და აუტსაიდერთა პერსპექტივებს. მაგრამ დარჩენილია ისეთი მნიშვნელოვანი, გადამწყვეტი თამაშები, რომ მათს შედეგებზე მხოლოდ სავარაუდო, მიახლოებითი მკითხაობა თუ შეიძლება.

პირველ სამ საპრიზო ადგილზე გასვლის შესაძლებლობა მხოლოდ 4 გუნდს შემორჩა. მოსკოვის ტორპედოელებმა რომც მოიგონ დარჩენილი ორი შეხვედრა, მათ საშუალება აღარა აქვთ მეოთხე ადგილს ასცდნენ. ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედლებისთვის ბრძოლის პრაქტიკული და თეორიული შესაძლებლობა გააჩნიათ მოსკოვის „სპარტაკს", დნეპროპეტროვსკის „დნეპრს", კიევის „დინამოს" და ვილნიუსის „ჟალგირისს".

დავიწყოთ ამ გუნდების შესაძლებლობათა გამოანგარიშება.

**„სპარტაკი" (მოსკოვი)** — 42 ქულა. ბოლო ხანებში განცდილი წარუმატებლობისა და თამაშის კლასის აშკარა დაქვეითების მიუხედავად ეს გუნდი ახლა მაინც უპირველესი ფავორიტია. დარჩენილ ორ ტურში სპარტაკელები შინ მიიღებენ კიევის „დინამოს" და ეს მატჩი, უდავოდ, ჩემპიონატის ცენტრალური მოვლენა იქნება, შემდეგ კი ისინი ვილნიუსში შეხვდებიან „ჟალგირისს". რაიმე დათმობაზე ამ მატჩებში ლაპარაკი კი არა, ფიქრიც არ შეიძლება. თამაშის საერთო კლასის, მომზადების დონის გარდა, აქ ბევრი რამ უნდა გადაწყვიტოს სანებისყოფო თვისებებმა და ხასიათის სიმტკიცემ. სპარტაკელებს ეს არ აკლიათ.

**„დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი)** — 39 ქულა. დნეპროპეტროვსკელები სტუმრად თამაშობენ ლენინგრადის „ზენიტთან". თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ ზენიტელებს ჯერ კიდევ აქვთ უმაღლეს ლიგაში დარჩენის შანსი, ისინი ყველაფერს გააკეთებენ ამ შესაძლებლობის რეალიზაციისათვის. ამდენად დნეპროპეტროვსკელთათვის ეს უძნელესი თამაში იქნება, შემდეგ „დნეპრი" შინ მიიღებს მოსკოვის „ტორპედოს", ტორპედოელებს კი, მოგეხსენებათ, საპრიზო ადგილზე გასვლის შანსი აღარა აქვთ...

**„დინამო" (კიევი)** — 37 ქულა. ჩემპიონობის მოპოვების შესაძლებლობა კიეველებმა წლეულს კარგა ხანია დაკარგეს, მაგრამ ვერცხლის მედლებისთვის ბრძოლა გუნდს ჯერ კიდევ შეუძლია და, საერთოდ, კიეველები მხოლოდ ახლა შევიდნენ ნამდვილ საბრძოლო სპორტულ ფორმაში, ამიტომაც ასეთი ინტერესით მოველით მათს სტუმრად გამოსვლას მოსკოვის „სპარტაკთან". ნუ დაგავიწყდებათ, რომ პირველ წრეში კიეველებმა საკუთარ მინდორზე პირწმინდად წააგეს თამაში სპარტაკელებთან (1:4) და, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, მათთვის მეორე წრის შეხვედრა უკვე დიდად საპრესტიჟო, ღირსების საქმეა. ჩემპიონატის ბოლო ტურში კიევის დინამოელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ თბილისელ თანაკლუბელებს, ახლა კი ძნელი სათქმელია იმ დღისთვის მასპინძლებს რა მდგომარეობა ექნებათ სატურნირო ცხრილში.

**„ჟალგირისი" (ვილნიუსი)** — 34 ქულა. ვილნიუსელი ფეხბურთელები წლევანდელ სეზონში ძირითადად სტაბილური თამაშით გამოირჩეოდნენ, მაგრამ მათ ცალკეული ჩავარდნებიც ჰქონდათ. კერძოდ, სულ ახლახან „ჟალგირისმა" უეფა-ს თასზე ბელგრადში ვერაფერი გაწყო „ცრვენა ზვეზდასთან" და დამარცხდა — 1:4. თუ მხედველობაში იმასაც მივიღებთ, რა რთული პრობლემების წინაშე იმყოფება წლეულს თბილისის „დინამო", იოლი წარმოსადგენია, როგორი მნიშვნელობა ენიჭება ხვალინდელ თამაშს და მის შედეგს თბილისის „დინამოს" სტადიონზე. მაგრამ ამის შემდეგ „ჟალგირისს" კიდევ ერთი მეტად მძიმე გამოცდა მოელის შინ, უძნელესი მატჩი მოსკოვის „სპარტაკთან".

დებულების შესაბამისად უმაღლესი ლიგის დატოვების ფრიად უსიამოვნო პერსპექტივა მოელის ორ გუნდს. ვისა აქვს ახლა გარანტირებული საგაისოდ ადგილები უმაღლეს ლიგაში? ერევნის „არარატი" იმ კიბის ქვემო საფეხურზე იმყოფება, სადაც გუნდს ალარავითარი უსიამოვნება არ ელოდება, „არარატი" და ზევით მდგომნი გაისად კვლავ უძლიერესთა რიგებში იბრძოლებენ, მაგრამ, დარჩა ხუთი გუნდი, რომლებსაც ჯერ კიდევ ესაჭიროებათ ქულათა მარაგის შესავსებად ზრუნვა, რათა საბოლოოდ დაიგულონ სამშვიდობოს თავი. ესენია: „პამირი" (დუშანბე), „დინამო" (თბილისი), „შახტიორი" (დონეცკი), „ლოკომოტივი" (მოსკოვი) და „ზენიტი" (ლენინგრადი).

აუტსაიდერთა შორისაც ზუსტად ისეთივე უკომპრომისო ბრძოლაა მოსალოდნელი, რომელიც არავითარ შეღავათს არ გულისხმობს. უკვე ბოლოსწინა ტურში, რომლის მატჩები დღეს და ხვალ შედგება, ბევრი რამ პრაქტიკულად გადაწყდება, დაბლა ლიგაში გადასვლის კანდიდატებიც ცხადია, ყველაფერს გააკეთებენ, რაც კი შეუძლიათ.

რა შესაძლებლობები აქვთ აუტსაიდერებს?

**„ზენიტი" (ლენინგრადი)** — 19 ქულა. ლენინგრადელები დღეს თავიანთ მინდორზე მიიღებენ „დნეპრს", რომელიც, როგორც იცით, საპრიზო მედლებისთვის იბრძვის და ამიტომაც მთელი შესაძლებლობით ითამაშებს. შემდეგ „ზენიტი" ოდესაში უნდა გაემგზავროს „ჩერნომორეცთან" სათამაშოდ, ეს უკვე ბოლო ტურის მატჩია, ამიტომაც ყველაფერი დამოკიდებული იქნება ჩემპიონატის ცხრილში იმ დღისთვის შექმნილ კონიუნქტურაზე.

**„ლოკომოტივი" (მოსკოვი)** — 19 ქულა. განვლილ ტურში თბილისის „დინამოსთან" მოპოვებულმა გამარჯვებამ წარმატების თუმცა მინიმალური, მაგრამ მაინც გარკვეული შანსი შეუნარჩუნა მოსკოვის რკინიგზელთა გუნდს. ლოკომოტიველები ჯერ ერევანში შეხვდებიან „არარატს", შემდეგ კი შინ მიიღებენ „შახტიორს", რომელიც ასევე უმაღლესი და პირველი ლიგების მიჯნაზე იმყოფება.

**„შახტიორი" (დონეცკი)** — 21 ქულა. დონეცკელთა კოლექტივზე ლაპარაკი ახლა ძნელია, ვინაიდან განვლილი ტურის მეტად მნიშვნელოვანი მატჩი „შახტიორმა" ვილნიუსში დიდი ანგარიშით წააგო „ჟალგირისთან" (0:3). „შახტიორი" ჯერ მინსკის „დინამოს" ღებულობს საკუთარ მინდორზე, მერე კი მოსკოვში უნდა შეხვდეს „ლოკომოტივს". რამდენი ქულის აღება შეუძლია გუნდს ამ ორ მატჩში? ეს ძალზე ძნელი გამოსაცნობია. ყოველ შემთხვევაში, დონეცკელები ალბათ ყველაფერს გააკეთებენ საიმისოდ, ორიოდე ქულა რომ მიუმატონ თავიანთ მეტად მეჩხერ მარაგს და სამშვიდობოს დაიგულონ თავი.

**„დინამო" (თბილისი)** — 22 ქულა. ლაპარაკიც კი ზედმეტია იმაზე, თუ რა დიდმნიშვნელოვანია თბილისელთათვის ხვალინდელი მატჩი საკუთარ მინდორზე „ჟალგირისთან". ამ თამაშის მოგება ყოველგვარ პრობლემას გვიხსნის თავიდან, ამიტომაც თამაში საჭიროა გაათკეცებული მონდომებით, სრული ძალით. მაგრამ წლევანდელ გათამაშებაში თბილისელებს ბევრი ასეთი პრინციპული მატჩი ჰქონდათ, რომლებიც ჩვენთვის სასურველი შედეგით არ დამთავრებულა. ასეთი იყო, თუნდაც, განვლილი შეხვედრა მოსკოვის „ლოკომოტივთან". მაგრამ პერსპექტივა ჩვენი გუნდისთვის მაინც საიმედოა, ამიტომ ხვალ საჭიროა ბრძოლა მხოლოდ და მხოლოდ გამარჯვებისთვის, მხოლოდ 2 ქულის ასაღებად.

ჩვენ გვახსოვს, რომ შარშან, ჩემპიონატის დასასრულს, თბილისის „დინამოს" ასეთივე არასახარბიელო მდგომარეობა შეექმნა. მაშინ ჩვენმა საფეხბურთო საზოგადოებრიობამ გუნდს საპატიო მიზნად დაუსახა უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნება. ამ მიზანს „საპატიოს" ვუწოდებთ, თორემ, რა საპატიო ამბავია თბილისის „დინამოსთვის" ბრძოლა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. პირიქით. წარსული დიდებიდან და უმაღლეს საფეხბურთო სფეროში გამოსვლებიდან ნატამალიც არ დარჩა და ამიტომაც თავისებურად მართალი იყვნენ თბილისის „დინამოს" ის ქომაგები, რომლებსაც სამარცხვინო ამბად მიაჩნდათ თბილისის დინამოელთათვის ამგვარი „საპატიო" მიზნების დასახვა.

მაგრამ ფეხბურთი ფეხბურთია, ჩვენ ყველანი რეალისტები უნდა ვიყოთ და სადად ვუყუროთ მოვლენათა მსვლელობას. ცალკე საუბრის საგანია მდგომარეობის საერთო გამოსწორება, პერსპექტიული ფეხბურთელების ძიება, ქართული ფეხბურთის ფლაგმანისთვის საუკეთესოთა რიგებში დაბრუნებისთვის ბრძოლა და სხვა, უფრო ღირსეული მიზნების დასახვა. ახლა კი, როცა კონკრეტულად ასე მწვავედ დგას უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნების საკითხი, თბილისის დინამოელებმა ყველაფერი უნდა გააკეთონ, შეუძლებელიც შეძლონ და ის 24 ქულა დააგროვონ, რაც გამსვლელი მინიმალური ნორმაა უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად. მით უმეტეს, რომ, შემდეგი შეხვედრა თბილისის „დინამოს" კიევში აქვს, იმ დღისთვის კი კიეველებს, შესაძლოა, თვითვე დასჭირდეთ ურთულესი პრობლემის გადასაჭრელად უკომპრომისო ბრძოლა.

**„პამირი" (დუშანბე)** — 23 ქულა. უმაღლესი ლიგის დებიუტანტს ერთი ქულაც ყოფნის ხიფათიდან თავის დასაღწევად. „პამირი" ჯერ ვოლგოგრადში ეთამაშება „როტორს", მერე კი შინ ღებულობს ხარკოვის „მეტალისტს". ჩვენი აზრით დუშანბელი ფეხბურთელები, ვოლგოგრადის „როტორის" მსგავსად, შეძლებენ უმაღლეს ლიგაში ადგილის შენარჩუნებას. ასე რომ, ეს ორი შეხვედრა დუშანბელთათვის არ მიეკუთვნება „სამკვდრო-სასიცოცხლოთა" კატეგორიას.

### გათამაშების ცხრილი

ძირითადი შემადგენლობანი ● მდგომარეობა 22 ოქტომბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 28 | 16 | 10 | 2 | 46-16 | 42 |
| „დნეპრი" (დნეპროპეტროვსკი) | 28 | 17 | 5 | 6 | 48-24 | 39 |
| „დინამო" (კიევი) | 28 | 13 | 11 | 4 | 41-23 | 37 |
| „ჟალგირისი" (ვილნიუსი) | 28 | 13 | 8 | 7 | 36-25 | 34 |
| „ტორპედო" (მოსკოვი) | 28 | 10 | 12 | 6 | 33-22 | 32 |
| „ჩერნომორეცი" (ოდესა) | 28 | 10 | 9 | 9 | 35-34 | 29 |
| „მეტალისტი" (ხარკოვი) | 28 | 10 | 9 | 9 | 30-32 | 29 |
| „დინამო" (მინსკი) | 28 | 10 | 7 | 11 | 31-30 | 27 |
| „დინამო" (მოსკოვი) | 28 | 7 | 12 | 9 | 29-26 | 26 |
| „როტორი" (ვოლგოგრადი) | 28 | 8 | 9 | 11 | 27-34 | 25 |
| „არარატი" (ერევანი) | 28 | 8 | 8 | 12 | 25-37 | 24 |
| „პამირი" (დუშანბე) | 28 | 7 | 9 | 12 | 20-37 | 23 |
| „დინამო" (თბილისი) | 28 | 5 | 12 | 11 | 22-29 | 22 |
| „შახტიორი" (დონეცკი) | 28 | 8 | 5 | 15 | 21-33 | 21 |
| „ლოკომოტივი" (მოსკოვი) | 28 | 5 | 9 | 14 | 17-32 | 19 |
| „ზენიტი" (ლენინგრადი) | 28 | 5 | 9 | 14 | 21-43 | 19 |

## დაღუპულთა პატივსაცემად

1982 წლის 20 ოქტომბერს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა უეფა-ს თასის მატჩი მოსკოვის „სპარტაკსა" და ჰოლანდიის „ჰაარლემს" შორის. იმ დღეს სტადიონზე მოხდა უბედურება, ეს იყო ფეხბურთის ისტორიაში ერთ-ერთი უდიდესი ტრაგედია, აუწერელ ქულეტას ათეულობით გულშემატკივარი შეეწირა.

გუშინწინ, 20 ოქტომბერს, ლუჟნიკის სტადიონზე გაიმართა დაღუპულთა ხსოვნის დღე. სტადიონის კიბეებზე, სადაც უბედურება მოხდა, დაფინეს ყვავილები, დაღუპულთა სურათებთან აანთეს სანთლები...

სტადიონზე უამრავი ხალხი მოვიდა — დაღუპულთა ნათესავები, ახლობლები, გულშემატკივრები, სპორტსმენები, მაგრამ როგორც „სოვეტსკი სპორტში" გამოქვეყნებული წერილის ავტორები ს. მიკულიკი და ს. ტოპოროვი აღნიშნავენ, აქ არ იყო იმ საბედისწერო მატჩის მონაწილე არც ერთი სპარტაკელი ფეხბურთელი...

ლუჟნიკის სტადიონზე დადგეს მსოფლიოს სტადიონებზე მომხდარი ტრაგედიების მსხვერპლთა სამახსოვრო ნიშანი, აქ აღნიშნულია ყველა ის უბედური შემთხვევა, რომელმაც უამრავი ხალხი შეიწირა.

დაბოლოს, სტადიონზე გაიმართა სამგლოვიარო მიტინგი.

### საერთაშორისო ფეხბურთი: შედეგები, ცხრილები

**შვეცია**

**21-ე ტური.** „ჰალმსტადი" — „ბრაგე" 1:0, „ფრელუნდა" — „მალმე" 2:0, „აიკი" — „ერგრიუტე" 0:0, „გაისი" — „იურგორდენი" 0:0, „ნორჩეპინგი" — „გეტებორგი" 1:1, „ერებრუ" — „სუნდსვალი" 3:2.

| | | | |
|---|---|---|---|
| „მალმე" | 21 | 34-10 | 30 |
| „ნორჩეპინგი" | 21 | 34-24 | 27 |
| „ერებრუ" | 21 | 25-20 | 26 |

**უნგრეთი**

**მე-8 ტური.** „ვაშაში" — „ტატაბანია" 1:0, „ფერენცვაროში" — „დოჟა უიპეშტი" 2:0, „იზოვაკი" — „ჩეპელი" 0:0, „პეჩი" — „ბეკეჩაბა" 1:1, „სეკეშფეჰერვარი" — „ჰალადაში" 1:2, „დებრეცენი" — „სიოფოკი" 1:0, „ვესპრემი" — „რაბა ეტო" 0:0, მტკ — „ჰონვედი" 3:0, „ტატაბანია" — „ვესპრემი" 0:0 (გამოტოვებული).

| | | | |
|---|---|---|---|
| მტკ | 8 | 13-6 | 18 |
| „დოჟა უიპეშტი" | 8 | 11-6 | 18 |
| „ფერენცვაროში" | 8 | 11-5 | 14 |

**ბულგარეთი**

**მე-7 ტური.** „პირინი" — „რუსე" 1:0, „ორიახოვიცა" — „ვარნა" 1:0, „სლივენი" — „სტარა ზაგორა" 3:1, „ბოტევი" — „ლოკომოტივი" (სოფია) 2:0, „სლავია" — „თრაკია" 1:1, „პასადშიკი" — „ეთირი" 1:1, „სრედეცი" — „ვიტოშა" 5:0, „ლოკომოტივი" (პლოვდივი) — „ბურგასი" 2:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „სრედეცი" | 7 | 24-3 | 13 |
| „ბურგასი" | 7 | 13-9 | 9 |
| „ლოკომ." (პლოვდივი) | 7 | 11-13 | 9 |

(საქ. ინფ.)



## ფ. ბეკენბაუერი უარყოფს

ევროპის საფეხბურთო პრესაში ცნობა გამოჩნდა იმის თაობაზე, რომ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ნაკრების უფროს მწვრთნელს ფრანც ბეკენბაუერს განზრახული აქვს მსოფლიო ჩემპიონატის დამთავრების შემდეგ თავი დაანებოს ეროვნული გუნდის ხელმძღვანელობას.

თვით ფ. ბეკენბაუერმა ეს ხმები უარყო: — ინფორმაციებში ლაპარაკია, რომ ჩემი მიწვევა სურთ იტალიის კლუბებს, მაგრამ იტალიიდან ჯერჯერობით არავის მოუმართავს ჩემთვის რაიმე წინადადებით. გარდა ამისა, ახლა მხოლოდ ფინალში მოხვედრის საზრუნავი გვაქვს და ამისთვის ვიბრძვით.

## მწარე გაკვეთილი

**1982 წლის** მსოფლიო ჩემპიონატზე იტალიის ნაკრებმა ანგარიშით 3:2 დაამარცხა ბრაზილიელები. ამას წინათ გაიმართა ამ გუნდების ამხანაგური შეხვედრა, სადაც იტალიელები დამარცხდნენ 0:1. ეს მატჩი იტალიური პრესის ყურადღების ცენტრშია.

— იტალიის ნაკრებმა, რომელიც, როგორც ჩემპიონატის მასპინძელი, არ მონაწილეობდა შესარჩევ ტურნირში, მწარე გაკვეთილი იწვნია, — წერს „გაძეტა სპორტივა". — უკვე დროა ციდან მიწაზე დავეშვათ და შევუდგეთ ფინალისთვის ნამდვილ მზადებას.

პრესა აღნიშნავს, რომ საჭიროა ნაკრების ყველა ადრინდელი გამარჯვება დავიწყებას მიეცეს, ამ აზრს ნაკრების მწვრთნელი ეზელიო ვიჩინიც იზიარებს.

— ჩემპიონატის დაწყებამდე რვა თვე დარჩა, დრო ჯერ კიდევ არის ბრაზილიელებთან ჩატარებული მატჩი ფინალისთვის მზადების პირველი ნაბიჯი იყო, ეს გახლდათ თანაბარი ძალის გუნდების საინტერესო თამაში, სადაც ყველაფერი კრუზის ინდივიდუალურმა ოსტატობამ გადაწყვიტა.

და, მართლაც, კრუზის მიერ დარტყმული საჯარიმო უზადო გახლდათ. მეკარემაც და მცველებმაც მხოლოდ თვალი გააყოლეს ბადეში გახვეულ ბურთს.

— ჩვენი ფეხბურთელები დაღლილად გამოიყურებოდნენ, — განაგრძობს ვიჩინი, — ეროვნული ჩემპიონატი ძალზე დაძაბულად მიმდინარეობს, ამიტომაც მათ ვერ შეძლეს ყველაფერი იმის ჩვენება, რისი ძალაც შესწევთ.

## ინგლისელი სპეციალისტების აზრით

ევროპის შარშანდელ საფეხბურთო ჩემპიონატში, რომელიც გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გაიმართა, ინგლისის ნაკრებმა ერთობ სუსტად ჩაატარა ფინალური ნაწილი, თუმცა მანამდე, შესარჩევ ტურნირში, მშვენივრად გამოიყურებოდა. ინგლისელი სპეციალისტები იმედოვნებენ, რომ ასეთი კაზუსი არ განმეორდება იტალიაში, მსოფლიო ჩემპიონატზე. მათი აზრით ინგლისის ნაკრებმა, რომელმაც ბრწყინვალედ ჩაატარა შესარჩევი ტურნირი, არ უნდა გაიმეოროს ადრე დაშვებული შეცდომები, საამისოდ კი გუნდის უფროს მწვრთნელს ბობი რობსონს ურჩიეს წინასწარ შეიმუშაოს სათამაშო ტაქტიკა ფინალისთვის და კოლეგებს გაუზიაროს აზრი იმის თაობაზე, თუ როგორ აპირებს გუნდის ხელმძღვანელობას.

კერძოდ, დონ ჰოუმ განაცხადა, რომ გუნდი კარგად თამაშობს სისტემით 4-4-2, მაგრამ არ შეიძლება მარტო ამ ტაქტიკით ცხოვრება. ყოველ მეტოქეს თავისებურად უნდა მიუდგე და შეურჩიო სათამაშო ტაქტიკა.

სსრ კავშირის ჩემპიონატი კალათბურთში

# „უცხოელები“ ლიტვის კლუბებში

**დღეს**, 22 ოქტომბერს კალათბურთელ ვაჟთა საკავშირო ჩემპიონატის მორიგ მატჩში კიევის „ბუდიველნიკი“ ვილნიუსის „სტატიბას“ უმასპინძლებს. რატომ გამოვყოფთ ამ შეხვედრას ასე საგანგებოდ? იმიტომ, რომ კალათბურთის ისტორიაში პირველად საბჭოთა კლუბის ღირსებას დაიცავს უცხოეთში ნაყიდი სპორტსმენი. ეს გახლავთ ტორონტოში მცხოვრები ლიტველი იონას კარპისი — კანადის ეროვნული ნაკრების ყოფილი ცენტრალური თავდამსხმელი, რომელსაც ოფიციალურ საერთაშორისო ტურნირებში 25 შეხვედრა აქვს ჩატარებული. კარპისი „სტატიბას“ 45 ათასი დოლარი დაუჯდა. ეს თანხა კლუბმა გაიღო მისი ყოფილი წევრის შარუნას მარჩიულიონისის ამერიკაში გაყიდვის შედეგად მიღებული ვალიუტიდან.

ასევე შევსებას მიიღებს ლიტვის მეორე კლუბი — კაუნასის „ჟალგირისი“. ნოემბრის დასაწყისში გუნდში გამოვა 24 წლის ავსტრალიაში მცხოვრები ლიტველი აუდრიუს სვალდიანისი, რომლის სიმაღლეა 203 სანტიმეტრი, წონა — 115 კილოგრამი და რომელიც ადრე პროფესიული კლუბის „სიდნეი კინგსის“ ღირსებას იცავდა. ავსტრალიაში სვალდიანისი ცნობილი იყო, როგორც შეუდარებელი მცველი.

# სუპერფინალების წინ

**მოსკოვსა** და კიევში დაიწყო უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი მატჩები. მოსკოვში მოასპარეზე ოთხი გუნდი იბრძვის საპრიზო ადგილებისთვის. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ეს ტურნირი ჩვენი ქვეყნის ბევრი უძლიერესი წყალბურთელისთვის (მათ შორის გიორგი მშვენიერაძისა და მიხეილ ივანოვისთვის) უკანასკნელი საკავშირო ჩემპიონატი იქნება. მომდევნო სეზონიდან ისინი საზღვარგარეთის, პირველი იუგოსლავიის, ხოლო მეორე იტალიის გუნდში ითამაშებენ.

გთავაზობთ საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ტურის ბოლო ორი კალენდარული დღის შედეგებს: „დინამო“ (მოსკოვი) — უნივერსიტეტი (მოსკოვი) 15:12, ცსკ ვმფ — „დინამო“ (ლვოვი) 14:11, უნივერსიტეტი (მოსკოვი) — „დინამო“ (ლვოვი) 7:6, „დინამო“ (მოსკოვი) — ცსკ ვმფ 7:15.

სუპერფინალში თამაშის შანსი ფაქტიურად განაღდებული აქვთ მოსკოვის „დინამოსა“ და ცსკ ვმფ-ს.

# მიეძღვნა „კლდის ვეფხვის“ ხსოვნას



ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ასპარეზობის ერთ-ერთი მომენტი; ტურნირის გამარჯვებულთა შორისაა მესტიელი სპორტის ოსტატობის კანდიდატი ზაზა გურჩიანი (ზევით, მარცხნივ), ლენინგრადელი სპორტის ოსტატი ტატიანა ლუკინა მემორიალის გამარჯვებული გახდა; მეკლდეურთა გამოსვლებს თვალ-ყურს ადევნებენ მათი მეტოქეები.

ავთანდილ მაჭავარიანის ფოტოები.



**ჭიათურის** თვალწარმტაც მიდამოებში გაიმართა მეკლდეურთა საკავშირო მემორიალი, რომელიც სახელგანთქმული ქართველი მთამსვლელისა და მეკლდეურის, სსრ კავშირის სპორტის დამსახურებული ოსტატის, „კლდის ვეფხვად“ წოდებული მიხეილ ხერგიანის დაღუპვის 29 წლისთავს მიეძღვნა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, თბილისის, ლენინგრადის, კრასნოიარსკის, კუიბიშევის, ყაზახეთის, ქვეყნის სხვა ქალაქებისა და რესპუბლიკების სპორტსმენები. ცალკე გუნდად გამოდიოდნენ მიხეილ ხერგიანის თანამემამულეები — მესტიელი მეკლდეურები.



# ისლამური „ოლიმპიური თამაშები“

**როგორც** რეიტერის სააგენტო იუწყება, ისლამური ქვეყნების „ოლიმპიურ თამაშებში“, რომელსაც კუვეიტი აწყობს, მონაწილეობას მიიღებს ათასი სპორტსმენი (მხოლოდ ვაჟი). შეჯიბრებაში, რომელიც 30 ოქტომბერს დაიწყება 43 ქვეყნის წარმომადგენელთა გამოსვლას მოელიან. „თამაშების“ პროგრამაშია ფრენბურთი, კალათბურთი, ფეხბურთი, ხელბურთი და მძლეოსნობა.

ქალებს ამ შეჯიბრებებზე არ დაუშვებენ, ვინაიდან ისლამი, რომელიც კუვეიტში აღიარებული რელიგია, კატეგორიულად კრძალავს მშვენიერთა სქესის მონაწილეობას შეჯიბრებებში მამაკაცების გვერდით.

თამაშების საორგანიზაციო კომიტეტის ვიცე-პრეზიდენტმა შეიხმა ფახად ალ-ახმად ალ-სავანმა პრესკონფერენციაზე გამოთქვა რწმენა, რომ ეს კომპლექსური ღონისძიება ამიერიდან რეგულარულად ჩატარდება ოთხ წელიწადში ერთხელ. შეიხმა ისიც აღნიშნა, რომ ამ „თამაშებს“ ბევრი მოწინააღმდეგე ჰყავდა.

— სპორტის ზოგიერთ მოღვაწეს,— განაცხადა შეიხმა,— არასწორად მიაჩნია, რომ ეს შეჯიბრება სახიფათოა ისლამისთვისაც და სხვა რელიგიებისთვისაც.

თავდაპირველად ამ ღონისძიებას ერქვა „ისლამური ოლიმპიური თამაშები“, მაგრამ შემდგომში ამოღებულ იქნა პირველი სიტყვა, რათა არ დარჩენილიყო შთაბეჭდილება, თითქოს შეჯიბრება სხვა რელიგიების წინააღმდეგ არის მიმართული.

კუვეიტი, როგორც ისლამური კონფერენციის თავმჯდომარე, ორგანიზაციისა, რომელიც 46 ქვეყანას აერთიანებს, თამაშებთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს თავის თავზე იღებს. სპორტსმენთა გამოსვლები თანამგზავრის სისტემის საშუალებით გადაიცემა თამაშებში მონაწილე ყველა ქვეყანაში.

**ასეთია რეიტერის სააგენტოს ცნობა, რომელშიც არაფერია ნათქვამი ამ ღონისძიებისადმი საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის დამოკიდებულებაზე, არა და სოკ-ის ოლიმპიური ქარტიიდან გამომდინარე, რამდენიმე შენიშვნა თამაშებთან დაკავშირებით მას უსათუოდ უნდა ჰქონდეს.**

**ჯერ ერთი, ქარტიის თანახმად არც ერთი სპორტული შეჯიბრება არ შეიძლება იწოდებოდეს ოლიმპიურ თამაშებად გარდა თვითონ ოლიმპიადისა. გარდა ამისა, ოლიმპიური ქარტიის თანახმად აკრძალულია ყოველგვარი სახის დისკრიმინაცია თამაშების მონაწილეთა მიმართ. აქ კი, როგორც ხედავთ, ქალებს სპორტულ თამაშებში გამოსვლის უფლება წართმეული აქვთ. მეტი დამაჯერებლობისთვის აქვე გთავაზობთ ოლიმპიური ქარტიის „ძირითადი პრინციპების“ მესამე პუნქტის ბოლო აბზაცს, რომელშიც ნათქვამია: „ოლიმპიურ თამაშებში დაუშვებელია ყოველგვარი დისკრიმინაცია ქვეყნის ან პიროვნების მიმართ რასობრივი, რელიგიური ან პოლიტიკური მოტივებით“.**

**ჩვენთვის ჯერჯერობით გაუგებარია საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის პოზიცია შეჯიბრებისადმი, რომელიც ქარტიას აშკარად ეწინააღმდეგება და რომლის მიმართაც იგი ვალდებულია ხმა აიმაღლოს.**

# და მაინც 39-ე ადგილი

**ბოლო** დროს ველოსპორტში ფინანსურმა, გარიგებებმა ასტრონომიულ ციფრებს მიაღწია. რეიტერის სააგენტოს განცხადებით ამაში დიდი წვლილი მიუძღვის ამერიკელ ველოსიპედისტს გრეგ ლემონდს. საერთოდ კი ცნობილია, როცა ამერიკელები სპორტის ახალი სახეობის დანერგვას აპირებენ, უპირველეს ყოვლისა მის ფინანსურ პერსპექტივებს ითვალისწინებენ, ან უფრო ზუსტად, ცდილობენ იგი მომგებიან სპორტად გახადონ. ზუსტად ასე მოხდა ამჯერადაც, როცა, ამერიკის ველოსპორტში ლემონდის გვარი გამოჩნდა.

1984 წელს ფრანგმა ბიზნესმენმა ბერნარ ტაპიმ პირველი ხელშეკრულება დაუდო 22 წლის გრეგ ლემონდს, რომელსაც ის-ის იყო მოგებული ჰქონდა მსოფლიოს ჩემპიონატი. ტაპიმ ახალგაზრდა სპორტსმენს ველოსპორტის ისტორიაში სარეკორდო თანხა — მილიონი დოლარი გადაუხადა. 1986 წელს ლემონდმა „ტურ დე ფრანსი“ მოიგო და ტაპის მიერ რეკლამაზე გაწეული ყველა ხარჯი ერთბაშად გამოისყიდა. აქედან დაიწყო ახალი ერა ველოსპორტში — მდიდარი ფირმები საბოლოოდ დარწმუნდნენ, რომ სპორტის ამ სახეობაში კაპიტალის დაბანდებას აზრი ჰქონდა.

ამას წინათ ამერიკელმა ველოსიპედისტმა ხელი მოაწერა კონტრაქტს საფრანგეთის გუნდთან და იცით რა თანხაზე — 5,5 მილიონ დოლარზე. არადა, 1980 წელს, როცა ლემონდი ევროპაში ჩამოვიდა, თვეში ათას დოლარს იღებდა.

სპორტსმენის განცხადებით, „ველოსპორტმა ბიზნესმენები დაატყვევა. ვინაიდან ისინი ასეთ დიდძალ თანხებს იმეტებენ, ჩანს მოგებაც კარგი აქვთ“. ფინანსური ხარჯების ზრდამ საგრძნობლად გააუმჯობესა თვით ველოსიპედისტთა მომზადების დონე. მძაფრი გახდა კონკურენცია, გაიზარდა ფავორიტთა რიცხვიც.

მიმდინარე წელს პროფესიული ველოსპორტის საერთაშორისო ფედერაციამ მსოფლიო თასის გათამაშების სისტემა შეიმუშავა. შემოღებულია ველოსიპედისტთა რეიტინგი — ისე როგორც ამას ერთ-ერთი ყველაზე „ძვირფასი“ სპორტის, ჩოგბურთის წარმომადგენლები აკეთებენ.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ველოსიპედისტთა ჰონორარი ჯერჯერობით საგრძნობლად ჩამორჩება ჩოგბურთელთა „გასამრჯელოს“. ლემონდის ბოლო კონტრაქტს (5,5 მილიონ დოლარს) პროფესიონალურ სპორტში მხოლოდ 39-ე ადგილი უკავია.

მიუხედავად იმისა, რომ ველოსპორტში არ არსებობს შემოსავლის ისეთი მნიშვნელოვანი წყარო, როგორიც მაყურებელია, სპორტის ამ სახეობის პოპულარობა დღითიდღე იზრდება. ამასთან ერთად იზრდება ტელევიზიიდან შემოსული თანხის ოდენობაც, გუნდების მეპატრონეთა და თვით ველოსიპედისტების შემოსავალი.

## „სპორტპროგნოზი“

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ 1989 წლის 42-ე ტირაჟის შედეგები, რომელიც 13—15 ოქტომბერს გაიმართა.

ტირაჟში დაშვებულია 3.616.057 ვარიანტი. 13 შედეგის გამოცნობისთვის (11) მოგება 4.931 მანეთია, 12 შედეგისთვის (426) — 254, 11 შედეგისთვის (5.740) — 66.

საქართველოში: დაშვებულია 32012 ვარიანტი. 13-1 (თბილისი), 12-14, 11-194.

**გაერთიანება** „სოიუზსპორტლოტომ“ შეაჯამა „სპორტპროგნოზის“ სპეციალური ტირაჟის შედეგები, რომელიც შედგენილი იყო მოსკოვის „სპარტაკის“ თამაშებზე სსრ კავშირის ჩემპიონატში.

ტირაჟში დაშვებულია 634.560 ვარიანტი. 13 შედეგი არავის გამოუცვნია. 12 შედეგის გამოცნობისთვის (17) მოგება 1.119 მანეთია, 11 შედეგისთვის (252) — 302.

საქართველოში: დაშვებულია 20.691 ვარიანტი. 13-0, 12-1, 11-6.

42-ე ტირაჟისა და სპეცტირაჟის მოგებები გაიცემა 1989 წლის 4 ნოემბრიდან 4 დეკემბრის ჩათვლით.

რედაქტორის მოადგილე
უ. ჭიჭინაძე.

## პატივცემულო თბილისელებო!

ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის „დინამოს“ სტადიონის სპორტკომპლექსის დირექცია შეგახსენებთ, რომ სტადიონის სპორტდარბაზებში გრძელდება გამაჯანსაღებელი ჯგუფების მეცადინეობა შემდეგ სახეობებში: ვაჟთა და ქალთა ათლეტიზმში; რიტმულ ტანვარჯიშში, ჭიდაობა სამბოში; ცენტრალურ ღია არენაზე საერთო ფიზიკურ მომზადებაში;

მეცადინეობა ტარდება გამოცდილ მწვრთნელთა ხელმძღვანელობით.

ისარგებლეთ ჩვენი მომსახურებით.

ცნობებისათვის მოგვმართეთ შემდეგი მისამართით:

ა. წერეთლის გამზირი № 2, ოთახი 4, ტელეფონი 95-03-76.

„დინამოს“ სტადიონის დირექცია.

## „სპორტპროგნოზი“

**ევროპის საფეხბურთო ტურნირების მეორე ტურის საპასუხო მატჩებზე შედგენილი სპეციალური ტირაჟის პროგრამა (1 ნოემბერი)**

**ჩემპიონთა თასი**

**მერვედფინალი**

1. „ტიროლი“ (ავსტრია) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი)
2. „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) — „მილანი“ (იტალია)
3. „ბენფიკა“ (პორტუგალია) — „ჰონვედი“ (უნგრეთი)
4. „ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „სტიაუა“ (რუმინეთი)

**თასების მფლობელთა თასი**

**მერვედფინალი**

5. „გრასჰოპერსი“ (შვეიცარია) — „ტორპედო“ (მოსკოვი)
6. „ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ანდერლეჰტი“ (ბელგია)
7. „სამპდორია“ (იტალია) — „ბორუსია“ (დორტმუნდი, გფრ)

**უეფა-ს თასი**

**მეთექვსმეტედფინალი**

8. „სპარტაკი“ (მოსკოვი) — „კიოლნი“ (გფრ)
9. „ბანიკი“ (ჩეხოსლოვაკია) — „დინამო“ (კიევი)
10. “ჟალგირისი“ (ვილნიუსი) — „ცრვენა ზვეზდა“ (იუგოსლავია)
11. „შტუტგარტი“ (გფრ) — „ზენიტი“ (ლენინგრადი)
12 „ვალენსია“ (ესპანეთი) — „პორტო“ (პორტუგალია)
13. „ჰამბურგი“ (გფრ) — „სარაგოსა“ (ესპანეთი)

**შენიშვნები**: 1. მხედველობაში მიიღება თამაშის ძირითად დროში ნაჩვენები შედეგები;

2. ტირაჟის ნომრის მიმანიშნებელ უჯრედში უნდა ჩაიწეროს „Ф 2“;

3. სპეცტირაჟისთვის შევსებული ბილეთები მიიღება 44-ე ტირაჟისთვის შევსებული ბილეთების მიღების ვადებში.

ინდექსი 66485. საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა 380096, თბილისი, ლენინის ქ. 14. იბეჭდება ოფსეტური წესით საგაზეთო კორპუსში, ხოშარაულის ქ. 29. უე 00351